



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

2019 წლის 22 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

2019 წლის 27 ივნისი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საქართველოს ისტორია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საქართველოს ისტორიის მაგისტრი, 100401
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეიმურაზ პაპასქირი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 კრედიტისაგან. აქედან 90 კრედიტი ეთმობა პროგრამის სავალდებულო კომპონენტებს და ის შემდეგნაირად ნაწილდება: 42 კრედიტი – სავალდებულო საგნები; 18 კრედიტი – პრაქტიკა; 30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი. დარჩენილი 30 კრედიტი ეთმობა არჩევით საგნებს.

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამა, თავისი შინაარსითა და სტრუქტურით, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – საქართველოს ისტორიის მაგისტრი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის შესავასებლად ჩატარდა 2019 წლის 22 მაისს. ვიზიტმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აუდიტორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა.

ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან.

▪ რეკომენდაციები

- პროგრამის ცალკეული კურსების სილაბუსები საჭიროებს შესწორებას ან გადამუშავებას. კერძოდ:

- საგნის „უცხო ენა აკადემიური მიზნებისთვის (ინგლისური ენა)“ სილაბუსი არ შეესაბამება თავის სათაურს და ის მთლიანად გადასამუშავებელია;
- საგნის „საქართველო და გარე სამყარო (უძველესი დროიდან - XXI საუკუნემდე)“ უნდა ჩაემატოს ქრონოლოგიურად ამოვარდნილი თემა და

სხვადასხვა საკითხებზე უნდა დაემატოს შესაბამისი ლიტერატურა;

- საგნის „საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთა კლასიფიკაცია“ სილაბუსი საჭიროებს შესწორებას, ვინაიდან მასში მითითებულია ქვესაკითხები (მაგალითად, არქეოლოგია – ისტორიის დამხმარე დისციპლინა), რომლებიც სამაგისტრო დონეს არ შეესაბამება;
- პრაქტიკის სილაბუსში გასასწორებელია საკონტაქტო საათების რაოდენობა.

- მოწესრიგდეს დოკუმენტაცია და განახლდეს შრომითი ხელშეკრულებები.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა საერთო სამაგისტრო გამოცდის კომპონენტების მინიმალური ზღვარი მიუთითოს იმავე პრინციპით, რომელსაც იყენებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ეს უნივერსიტეტს თავიდან აარიდებს გაუგებრობებს, რადგანაც პროცენტული მაჩვენებლები არ ემთხვევა ქულობრივ მაჩვენებლებს.
- სასურველია, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას და სწავლების შედეგებს, ამგვარად, შეფასება ნაკლებად სტანდარტიზირებული იქნება.
- მეტი ყურადღება მიექცეს სამაგისტრო ნაშრომების ინგლისურენოვანი აბსტრაქტების გამართულობას.
- პროგრამაში ჩართულია მხოლოდ ორი აკადემიური აფილირებული პერსონალი (ერთი აფილირებული პროფესორი; ერთი აფილირებული ასოცირებული პროფესორი) და 15 მოწვეული პერსონალი. პროგრამას არ ჰყავს ასისტენტ პროფესორი. სასურველია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაში, რისი მზაობაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან გამოითქვა კიდევ.
- სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს ახალი მექანიზმების დანერგვა პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, შესთავაზოს სხვადასხვა სახის ტრენინგებში მონაწილეობა როგორც უსდ-ში, ასევე მის გარეთ.
- სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს ახალი მექანიზმების დანერგვა პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის წასახალისებლად – შესთავაზოს სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობა, ერთობლივ პროექტებში ჩართვა როგორც ქართველ, ასევე უცხოელ კოლეგებთან ერთად.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- პერსონალისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურა. უფასო სერვისი მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის.

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს საქართველოს ისტორიის ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კვლევაზე ორიენტირებული მაგისტრი, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებზე; შუა საუკუნეების საქართველოში საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განმსაზღვრელ ფაქტორებზე; საქართველოს საგარეო ურთიერთობების, გეოპოლიტიკური მდებარეობის უმთავრეს პრობლემებზე (უძვ. დროიდან XXI საუკუნემდე); ისტორიული პროცესის კანონზომიერების საზრისის, ისტორიის ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებებისა და კონცეფციების შესახებ; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ძირითად მიმართულებებზე; საისტორიო აზროვნების ფორმირებასა და განვითარებაზე. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს, მაგისტრანტს გამოუმუშაოს ცალკეული ფაქტების განზოგადებისა და მოვლენების ურთიერთდაკავშირებისა და კრიტიკული შეფასების უნარი.

პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმასთან.

პროგრამის მიზნების აღწერილობაში მითითებულია, რომ ის მიზნად ისახავს საქართველოს ისტორიის დარგში ფართო სამეცნიერო პროფილის მქონე სპეციალისტის მომზადებას, თუმცა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბრებმა ცხადყო, ეს არის ტექნიკური შეცდომა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ფრაზა არ გვხვდება თვითშეფასების ანგარიშში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და პროგრამის

ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; - შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში. პროგრამის კურიკულუმი

უზრუნველყოფს, რომ საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია ღრმა და სისტემური ცოდნა საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებზე და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განმსაზღვრელ ფაქტორებზე. პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია ცალკეული კურსების სწავლის შედეგების მიხედვით. ისინი შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.

უსდ ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. ეს ხდება როგორც პირდაპირი წესით (ზეპირი გამოკითხვები, დისკუსიები, პრეზენტაციები, შუალედური და საბოლოო გამოცდები და სხვ.), ისე არაპირდაპირი (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და ა.შ.) შეფასების მეთოდებით. მათი ანალიზის საფუძველზე პროგრამაში შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, ერთ-ერთ მოწვეულ პროფესორს კი უარი ეთქვა შემდგომში მოწვევაზე. გარდა ამისა, დამატებულ იქნა პრაქტიკა და გამრავალფეროვნდა არჩევითი კურსები. ამ მიმართულებით მუშაობა მუდმივად მიმდინარეობს. სავალდებულო კურსების სიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი კურსი „როგორ იწერებოდა საქართველოს ისტორია“, რომელიც სიახლეს წარმოადგენს. მთლიანობაში გატარებული ცვლილებები დადებითად შეიძლება შეფასდეს და ის ნამდვილად ხელს უწყობს პროგრამის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და სპეციალობასა და უცხო ენაში საუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად ან მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. საუნივერსიტეტო გამოცდაში სპეციალობის ხვედრითი წილია 70%, ხოლო უცხო ენის - 30%. უცხო ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ენის დონის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატს

(სერთიფიკატის აღიარება მოხდება უნივერსიტეტის უცხო ენის ცენტრის მიერ) ან რომელსაც შესაბამისენოვან პროგრამაზე მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც დასტურდება სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვებგვერდზე ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების მინიმალური ზღვარი მითითებულია პროცენტებში, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს გარკვეული გაუგებრობები, რადგანაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მის მიერ დაწესებულ მინიმალური ზღვარს ქულების მიხედვით უთითებს. ჩვენი აზრით, სასურველია, რომ უნივერსიტეტმა მინიმალური ზღვარი ასევე ქულების მიხედვით მიუთითოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი (<https://sangu.edu.ge/ka/program/37>).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა საერთო სამაგისტრო გამოცდის კომპონენტების მინიმალური ზღვარი მიუთითოს იმავე პრინციპით, რომელსაც იყენებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ეს უნივერსიტეტს თავიდან აარიდებს გაუგებრობებს, რადგანაც პროცენტული მაჩვენებლები არ ემთხვევა ქულობრივ მაჩვენებლებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (ჩარიცხვის წესი) და სწავლის შედეგები.

საქართველოს ისტორიის მაგისტრის ხარისხის მისაღებად პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. აქედან 90 კრედიტი ეთმობა პროგრამის სავალდებულო კომპონენტებს და ის შემდეგნაირად ნაწილდება: 42 კრედიტი – სავალდებულო საგნები; 18 კრედიტი – პრაქტიკა; 30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი. დარჩენილი 30 კრედიტი ეთმობა არჩევით საგნებს.

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამა, თავისი შინაარსითა და სტრუქტურით, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – საქართველოს ისტორიის მაგისტრი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგნების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ყველა ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები სრულ თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები ერთობლიობით ქმნის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებს. პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება საკუთრივ ამ კურსის სწავლის შედეგებს. რაც შეეხება სილაბუსებში მითითებულ სასწავლო მასალას, ძირითადად ისინი დაფუძნებულია დარგში არსებულ აქტუალურ მიღწევებზე. ამავე დროს, გვხვდება გარკვეული ხარვეზებიც. მაგალითად, საგნის „საქართველო და გარე სამყარო (უძველესი დროიდან - XXI საუკუნემდე)“ სილაბუსში მეორე თემას, რომელიც მოიცავს საქართველოს ურთიერთობებს გარე სამყაროსთან IV-VII საუკუნეებში რატომღაც მოსდევს საქართველოს საგარეო პოლიტიკა XI საუკუნეში. როგორც ჩანს, აქ გამორჩენილია, როგორც მინიმუმ, ერთი თემა. გარდა ამისა, აღნიშნული სილაბუსი შესაძლებელია გამდიდრდეს ლიტერატურით მთელ რიგ საკითხებზე. საგნის „საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთა კლასიფიკაცია“ სილაბუსში ამოსაღებია ქვესაკითხების ნაწილი, რომლებიც არ შეესაბამება სამაგისტრო დონეს. გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზი პრაქტიკის სილაბუსში, სადაც პირველ

გვერდზე სწორად წერია საკონტაქტო საათების რაოდენობა (150 სთ), მაგრამ საკონტაქტო საათების აღწერაში ეს მაჩვენებელი გაზრდილია (250 სთ). როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ ცხადყო, ეს ტექნიკური შეცდომაა. რაც შეეხება არჩევითი კურსის „უცხო ენა აკადემიური მიზნებისთვის (ინგლისური ენა)“ სილაბუსს, ის მთლიანად გადასამუშავებელია, რადგანაც უბრალოდ არ შეესაბამება თავის სათაურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგნების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- საგნის „უცხო ენა აკადემიური მიზნებისთვის (ინგლისური ენა)“ სილაბუსი არ შეესაბამება თავის სათაურს და ის მთლიანად გადასამუშავებელია;
- საგნის „საქართველო და გარე სამყარო (უძველესი დროიდან - XXI საუკუნემდე)“ უნდა ჩაემატოს ქრონოლოგიურად ამოვარდნილი თემა და სხვადასხვა საკითხებზე უნდა დაემატოს შესაბამისი ლიტერატურა;
- საგნის „საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთა კლასიფიკაცია“ სილაბუსი საჭიროებს შესწორებას, ვინაიდან მასში მითითებულია ქვესაკითხები (მაგალითად, არქეოლოგია – ისტორიის დამხმარე დისციპლინა), რომლებიც სამაგისტრო დონეს არ შეესაბამება;
- პრაქტიკის სილაბუსში გასასწორებელია საკონტაქტო საათების რაოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. უნივერსიტეტში იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ეწყობა საჯარო ლექციები და შეხვედრები პოლიტიკურ მოღვაწეებთან და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გარდა ამისა, გამოიცემა სამეცნიერო შრომების კრებული, რომელშიც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, დაბეჭდონ თავისი ნაშრომები.

პროგრამაში სავალდებულო სტატუსი გააჩნია პრაქტიკას, რომელიც მოიცავს 18 კრედიტს. მის სილაბუსში გაწერილია აქტივობები, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა. პრაქტიკის დროს სტუდენტს ჰყავს მენტორი, რომელსაც პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაცია გამოყოფს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგნების სილაბუსები;
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა საგნებში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისთვის ძირითადად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი და ა.შ. ამ მეთოდების ფარგლებში გამოყენებულ იქნება შემდეგი აქტივობები: წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა, დემონსტრირება, დისკუსია-დებატები, ახსნა-განმარტება და ა.შ. აღნიშნული მეთოდები სტუდენტებზე ორიენტირებულია და ისინი სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს ისტორიის პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგნების სილაბუსები; ○ ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. გარდა ამისა, ზოგადი ჩარჩო განსაზღვრულია შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებითაც, ხოლო სასწავლო კურსების შემთხვევაში უფრო მეტად არის დაკონკრეტებული შესაბამისი სილაბუსებში.

სამაგისტრო პროგრამაში სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი, თუმცა, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულია შეფასების იდენტური გადანაწილება. ყოველკვირეული აქტივობის განსხვავებული მეთოდი – წერითი დავალება – თემების ქვეშ ფიქსირდება მხოლოდ ერთ სილაბუსში: აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორია, თუმცა შეფასების მეთოდების საერთოდ ჩამონათვალში ის მაინც არ ფიგურირებს. სასურველი იქნებოდა, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას და სწავლების შედეგებს, ამგვარად, შეფასება ნაკლებად სტანდარტიზირებული იქნებოდა. თუმცა, შეფასების ფორმები, პროგრამაში მოქმედი ფორმითაც ობიექტურია და უზრუნველყოფს კურსის საერთო მიზნებს და სწავლის შედეგების შეფასებას.

პროგრამის ფარგლებში როგორც სასწავლო, ასევე, კვლევითი კომპონენტის შეფასების დროს გამოიყენება იმგვარი შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები, რომელთა უმრავლესობა ზოგადად გვხვდება სამაგისტრო საფეხურზე, კერძოდ: რეფერატი, პრეზენტაცია, წერითი თუ ზეპირი გამოცდა და სხვა.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუებით თვალსაჩინო გახდა, რომ კურსების ნაკლოვანებებისა და ცოდნის გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას იღებენ როგორც აკადემიური პერსონალისგან, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან. სტუდენტები მუდმივად იღებენ უკუკავშირის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების აპელაციის მიზნით, რექტორის აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს რექტორის აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

